რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 16 ნოემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

36 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 36

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ამხანაგებო მუშებო, გლეხებო, სალდათებო, ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკნო!

## დამფუძნებელ კრების №5

არჩევნებში მხარი დაუჭირეთ პროლეტარიატის პარტიას, ხმა მიეცით ინტერნაციონალისტ-სოციალდემოკრატების ბოლშევიკების სიას

№5

---

### პირველი ნოემბრიდან გაზეთი
# ბრძოლა
### გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით " 2 მ.
ცალკე ნომერი " — 10 კ.
მიმაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

---

### ამხანაგებო მუშებო, სალდათებო, გლეხებო, ყველა მშრომელნო!

მუშების და გლეხების რევოლიუციამ საბოლოვოთ გაიმარჯვა პეტროგრადში, გაფანტა რა უკანასკნელი ნაწილები კერენსკის მიერ მოტყუებულ კაზაკების პატარა რიცხვისა. რევოლიუციამ გაიმარჯვა მოსკოვშიაც უფრო ადრე, ვიდრე იქ მივიდოდა პეტროგრადიდან საშველათ წასული სამხედრო ძალების რამდენიმე მატარებელი; მოსკოვში იუნკერებმა და კორნილოვის სხვა მომხრეებმა ხელი მოაწერეს ზავის პირობებზე და შეთანხმდნენ იუნკერებისათვის იარაღის აყრაზე, რუსის დახსნის კომიტეტის გაუქმებაზე. ფრონტიდან და სოფლებიდან ყოველ დღე და ყოველ საათს მოდის ცნობები, რომ ახალ მთავრობას და მის კანონებს ზავის წინადადებისა და გლეხებისთვის მიწის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ მხარს უჭერს დიდძალი უმრავლესობა სალდათებისა სანგრებში და გლეხებისა მაზრებში. მუშების და გლეხების გამარჯვება უზრუნველყოფილია, რადგანაც მას მხარს უჭერს ხალხის უმრავლესობა.

ადვილი გასაგებია, რომ მემამულეები და კაპიტალისტები, მოსამსახურეები და ჩინოვნიკები, რომლებიც მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ბურჟუაზიასთან, ერთი სიტყვით, ყველა მდიდრები და მათი ქომაგები მტრულათ ხვდებიან ახალ რევოლიუციას, ეწინააღმდეგებიან მის გამარჯვებას, იმუქრებიან ბანკების მოქმედების შეწყვეტით, აფუჭებენ ან აჩერებენ სხვადასხვა დაწესებულებების მუშაობას, აფერხებენ მას პირდაპირ ან არაპირდაპირ. ყოველ შეგნებულ მუშას მშვენიერათ ესმის, რომ ასეთი წინააღმდეგობა მათი მხრით აუცილებელია, რადგანაც უმაღლეს მოსამსახურეებათ განგებ აყენებდენ ხალხის მოწინააღმდეგე პირებს და წინააღმდეგობის გაუწევლათ მათ არ უნდათ დაუთმონ ხალხს თავისი პოზიციები. მშრომელი კლასები ერთ წამსაც არ შეუშინდებიან ამ წინააღმდეგობას, ერთ წუთსაც არ შეძრკებიან ბურჟუაზიის მომხრეთა მუქარის და გაფიცვის წინაშე.

ჩვენს მხარეს არის ხალხის უმრავლესობა. ჩვენს მხარეს არის მთელი ქვეყნის მშრომელთა და დაჩაგრულთა უმრავლესობა. ჩვენსკენ არის სიმართლე. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

კაპიტალისტების და დიდი მოხელეების წინააღმდეგობას გავტეხავთ. არც ერთ კაცს არ ჩამოერთმევა ქონება გარეშე განსაკუთრებული სახელმწიფო კანონისა ბანკების და სინდიკატების ნაციონალიზაციის შესახებ. ეს კანონი მზადდება. არც ერთი მუშაკი, არც ერთი მშრომელი ერთ კაპეიკსაც არ დაკარგავს, პირიქით მას დახმარება ექნება აღმოჩენილი. ახლავე მთავრობა ახალ გადასახადებს არ აწესებს და პირველ ყოვლისა ცდილობს ცნობაში მოიყვანოს და სასტიკი კანტროლი გაუწიოს ადრე დამყარებულ გადასახადების გადახდევინების საქმეს, რომ არაფერი არ იქნეს დამალული.

ამ სამართლიან მოთხოვნილებათა გულისთვის ხალხის დიდძალი უმრავლესობა მჭიდროთ შემოკრბა მუშების და გლეხების დროებითი მთავრობის გარშემო.

ამხანაგებო, მშრომელნო! გახსოვდეთ, რომ თქვენ თითონ განაგებთ ეხლა სახელმწიფოს. თქვენ ვერავინ ვერ გიშველის, თუ თქვენ თითონ არ შეერთდებით და არ აიღებთ სახელმწიფოს ყველა საქმეებს საკუთარ ხელში. ამიერიდან თქვენი საბჭოებია სახელმწიფო ძალა-უფლების ორგანოები, უფლება აღჭურვილი, გადამწყვეტი ძალის მქონე ორგანოები.

შემოკრბით თქვენი საბჭოების გარშემო. გაამაგრეთ ისინი. თითონ მოკიდეთ საქმეს ხელი ძირიდან, ნურავის ნუ ელოდინებით. დაამყარეთ უსასტიკესი რევოლიუციონური წესრიგი, შეუბრალებლათ აღმოფხვერით ყოველივე ცდა ანარქიისა, მთვრალების, ხულიგანების, კონტრ-რევოლიუციონერი იუნკრების, კორნილოვის მომხრეების მხრით.

უსასტიკესი კანტროლი დააწესეთ წარმოებაზე და ნაწარმოების განაწილებაზე. დაატუსაღეთ და ხალხის რევოლიუციონურ სამსჯავროს გადაეცით ყველა, ვინც გაბედავს ავნოს რამე სახალხო საქმეს, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს ეს მავნე მოქმედება: წარმოების საბოტაჟი (გაფუჭება, შეფერხება, ძირის გამოთხრა) თუ თამალვა პურისა და სხვა სანოვაგისა, ან შეჩერება პურის გადაზიდვისა, ან ხელის შეშლა რკინის გზის, ფოშტის და ტელეგრაფის მოქმედებისა, ან საერთოთ რაიმე ხელის შეშლა ზავის დიადი საქმისა, გლეხებისთვის მიწის გადაცემისა. წარმოებაზე და საგნების განაწილებაზე მუშათა კანტროლის დაწესებისა.

ამხანაგებო მუშებო, სალდათებო, გლეხებო და ყველა მშრომელნო! აიღეთ მთელი ძალა-უფლება ადგილობრივათ თქვენი საბჭოების ხელით, შეინახეთ, თვალის ჩინივით გაუფრთხილდით მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, სანოვაგეს, ტრანსპორტს—ყველა ეს ამიერიდან მთლათ თქვენი საზოგადოებრივი კუთვნილებაა. თანდათან, გლეხების უმრავლესობის თანხმობით და მოწონებით, მათი და მუშების პრაქტიკული გამოცდილების ჩვენებით ჩვენ მტკიცეთ და შეურყევლათ გავწევთ სოციალიზმის გამარჯვებისკენ, რომელსაც განამტკიცებენ უფრო განათლებული ქვეყნების მოწინავე მუშები და რომელიც მისცემს ხალხებს მტკიცე ზავს და გაანთავისუფლებს მათ ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან.

სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი.

პეტროგრადი.

6 ნოემბერი 1917 წ.

---

### ბოლშევიკები და მთავრობის შედგენის საკითხი ჩვენში.

შაბათს, 11 ნოემბერს ადგილობრივ ობორონცების—მენშევიკ-ესერების თაოსნობით სახალხო სახლში გაიმართა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მთავრობა ამიერ კავკასიაში. თათბირზე მოწვეული იყვნენ ყველა ჯურის ორგანიზაციების წარმომადგენლები ბოლშევიკებიდან დაწყებული კადეტთა

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუცია

## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

### გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმობას!

„ოზაკომამდე“ (განსაკუთრებული კომიტეტი ამიერ კავკასიაში, როგორც წარმომადგენელი ყოფილი ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა რუსეთში).

მენშევიკ-ესერების მხრივ წარმოდგენილი პროექტი მთავრობის მოწყობის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ დამფუძნებელ კრებისთვის არჩეულ დეპუტატებს დაემატება კიდევ რამდენიმე რიცხვი სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებისა პროპორციონალურათ მათგან არჩეულ დეპუტატებისა და ამათგან შედგება ე. წ. წინასწარ პარლამენტი ან, როგორც გაუბედავათ ამბობდენ ზოგი ორატორები—ამიერ კავკასიის პარლამენტი, და სხვა და სხვა.

ათეული ესერ-მენშევიკების ორატორები იმდენათ იმას არ ცდილობდენ, რომ გამოერკვიათ მიმდინარე მომენტი და დასმული საკითხი, რამდენათაც ლანძღავდენ მუშების და გლეხების ახალ მთავრობას და ჩვენებურ ბალშევიკებს.

ჩვენ ბალშევიკების ამიერ კავკასიის საოლ. კომიტეტის მინდობილობით წაიკითხა დეკლარაცია მთავრობის მოწყობის შესახებ ამხ. მ. ცხაკაიამ. მან დეკლარაციას წაუმძღვარა მოკლე სიტყვა, რომელშიაც ფარდა ახადა მენშევიკ-ესერების წარსულ და დღევანდელ ანტი-დემოკრატიულ პოლიტიკას. მან უჩვენა მათ, თუ რამდენათ დამნაშავენი არიან ისინი დღევანდელ სამოქალაქო ომის წარმოებაში და ურჩია წარსულ ისტორიულ შეცდომებს ნუ მოუმატებენ ისინი ახალს, კიდევ უფრო მიუტევებელ დანაშაულს, ნუ უშლიან ხელს პროლეტარულ-გლეხურ რევოლიუციას, თუ მისი გაძღოლა არ შეუძლიათ,—გადგენ განზე და მიიმალონ თავიანთ სოროებში, ვითარცა მშიშარა მეშჩანები, ნუ უმაგრებენ ფრონტს კალედინ კერენსკის, თუ ლენინ-ტროცკის გვერდით ამოდგომის უნარი და სიმამაცე არ შესწევთ და სხვა და სხვა.

აი დეკლარაციის თეზისები, მიღებული საოლქო (ბალშევიკების) კომიტეტის მიერ:

1) მთელი ძალა-უფლება საბჭოებს ცენტრში და ადგილობრივ, როგორც გადასწყვიტა სრულიათ რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ (25—26—27 ოქტომბერს 1917 წ.).

2) ადგილობრივ საბჭოების საოლქო ყრილობაზე არჩეულ იქნას ადგილობრივი ცენტრი პროპორციონალურად ყრილობაზე მონაწილე პარტიების წარმომადგენლებისაგან; ეს ცენტრი—აგრეთვე პროპორციონალურათ—გამოყოფს ძალა-უფლებათ შემოსილ ადგილობრივ მთავრობის, საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს.

3) ადგილობრივი საბჭოები და მათ შორის საოლქო ცენტრი სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის წევრებათ დარჩებიან.

4) საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს აქვს სრული ძალა-უფლება ადგილობრივი ყოველგვარი საჭიროება თითონ დააკმაყოფილოს, ხოლო საერთო სახელმწიფო საჭიროებათა საქმეების მოსაწყობათ უნდა დარჩეს სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტთან მტკიცე კავშირში, რომელიც ძალა-უფლების უმაღლესი სუვერენია.

5) ამიერ კავკასიის ოლქი მონაწილეობას იღებს, როგორც რუსეთის სხვა ნაწილების დამფუძნებელ კრებაში, რომლის გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ყველასათვის.

6) ბალშევიკების ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი აღიარებს რა კავკასიის ერებისთვისაც სრულ და სავსებითი უფლებას თვითგამორკვევისას, საჭიროთ მიაჩნია განაცხადოს: მას არც ერთი ხალხისთვის არ მიაჩნია სასარგებლოთ, რომ ეს თვითგამორკვევა მიყვანილ იქნას ბოლომდე, ესე იგი, რომ რომელიმე ერი რუსეთს მოსწყდეს, განცალკევდეს და ან სხვა და სხვა ხალხები კავკასიაში ერთმანეთს დაშორდენ. ეს ერთი მხრივ ეწინააღმდეგება ფართე მასის, ქალაქების და სოფლების მშრომელთა არსებით ინტერესს, და, მეორე მხრივ, განცალკევება დიდად დაუშლის ხელს დღევანდელ ბრძოლას ომის შესაჩერებლათ, ზავის ჩამოსაგდებათ და მთელი ქვეყნების მუშათა ინტერნაციონალთან ერთათ სოციალიზმის განსახორციელებლათ.

7) ბალშევიკების საოლქო კომიტეტი, იღებს რა მხედველობაში პროლეტარულ-გლეხურ რევოლიუციის ინტერესს, რომლის წინააღმდეგ იბრძვიან მემამულეები და მთელი კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია, შეუძლებლათ ვერ სცნობს განაგრძოს მონაწილეობა და თანამშრომლობა იმათ სათათბიროში, სადაც კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები მონაწილეობას იღებენ.

უკანასკნელათ საოლქო კომიტეტი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ის სავსებით დგას სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და მის მიერ არჩეულ სრულუფლებიან მთავრობის—სახალხო კომისარების საბჭოს—პოზიციაზე, იმ საბჭოს, რომელმაც უკვე დაიწყო გმირული და თავგანწირული ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან და პროლეტარიატის და გლეხების ინტერესების მოღალატეებთან.

---

## ორი გზა.

(წერილი მენშევიკ-ინტერნაციონალისტისა).

დაჰკრა საათმა მრავალ ტანჯულ მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა. ოცნება სინამდვილეთ იქცა. რაც მხოლოდ სიზმარში შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა, დღეს მას ცხადათ ვხედავთ. მრავალ საუკუნოების განმავლობაში სიღატაკის ძილში მყოფი მშრომელი ხალხი იღვიძებს, უხსოვარ დროიდგან ტანჯვა-წვალებაში მდრტვინავი მშრომელი ქვეყანა შეგნებულათ ამტვრევს მონობის ბორკილს და შავ წარსულს აბარებს მორჩილების უღელს. ჯერ კიდევ ამ ათი-ოციოდე წლის წინეთ ყველა ხალხზე კულტურულათ და ეკონომიურათ ჩამორჩენილი რუსეთის ხალხი ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ისეთი სისწრაფით და გიგანტიური ნაბიჯით გაექანა წინ, რომ დღეს ყველასათვის აშკარაა რუსეთის ხალხის უმაგალითო რევოლიუცია, რომელსაც უნდა მოყვეს მსოფლიო ცხოვრებაში ახალი ხანის დასაწყისი.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლიუციის ცეცხლი ეკიდება მთელ რუსეთს. ამ ცეცხლმა დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობა, მან გამოუთხარა ძირი ბურჟუა-კაპიტალისტების ბატონობას და მის სინათლეზე მიისწრაფის დღეს სოციალიზმისაკენ რუსეთის დემოკრატია.

დიახ, ამ ცეცხლმა უნდა ჩაუდგას ცეცხლის სული რუსეთის ძველი წესწყობილების მიერ დაავათმყოფებულ ცხოვრებას.

დღეს მის სინათლეზე ნათლათ სჩანან ხალხის მტერ-ორგულნი ერთი მხრით და მოყვარე-მოკეთენი მეორე მხრით.

ძველი წყობილების თაყვანისმცემელნი რადგან კარგათ ხედავენ, რომ მათ ხელიდან ეცლებათ ძალა-უფლება, თავზარდაცემულნი უკანასკნელ ღონეს იკრეფენ, რომ ძალა ხელიდან არ გაუშვან და კვლავ იბატონონ ქვეყნათ. მათ ვერ წარმოუდგენიათ სხვა ცხოვრება გარდა მათი ბატონობისა.

მათ გვერდით მოსჩანს „ძველი ქვეყნის მარილთა“—ბურჟუა-კაპიტალისტების შავი რაზმი მილიუკოვების; გუჩკოვების და კერენსკების მეთაურობით: რის დემოკრატია, რის ერთფეროვანი სამინისტრო, ჩვენ ვიყავით ძველი ქვეყნის ბატონ პატრონი და ჩვენვე უნდა დავრჩეთ მომავალშიაც ბატონებიო. მათ პირდაპირ კი მოსჩანს დარაზმული „წითელი გვარდია“ რუსეთის მშრომელი ხალხის, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების სახით, რომელიც გარს უვლის ანთებულ ცეცხლს და იცავს მას მტრის ჩაქრობისაგან.

ჩვენ გამოვცადეთ პირველთა ბატონობა ქვეყნათ, გამოვცადეთ მეორეთა „ერთგული“ სამსახური რუსეთის ხალხის და რევოლიუციის წინაშე და ეხლა ვცდით მათ მოწინააღმდეგე მესამეთა ქვეყნის წინაშე სამსახურს. პირველთა ბატონობამ დალუპა რუსეთი, დაანგრია ის და მის ნანგრევებზე თვითონ გალესა თავის დასაკლავი დანა. ის ჩაბარდა ისტორიას და მისი კვლავ ქვეყნის სათავეში მოქცევა ეს ნიშნავდა რუსეთის მშრომელი ხალხისთვის „შავი დღეების“ დადგომას; ეს, რასაკვირველია მათ არ მოესწრებათ.

ცხრა თვის განმავლობაში ჩვენ ვიგემეთ ბურჟუაზიულ „კოალიციის“ ქვეყნის წინაშე „ერთგული“ სამსახური. ამ ხნის განმავლობაში მას იოტის ოდენათაც არ გაუმჯობესებია რუსეთის მშრომელი ხალხის მდგომარეობა, რომლის მეოხებით ის მოექცა ქვეყანას სათავეში. ბურჟუაზიულმა პარტიებმა უღალატეს ხალხს, გაყიდეს ხალხის ინტერესები და ამიტომ მათი კვლავ გაბატონება იქნებოდა ქვეყნათ „ჯოჯოხეთის“ შექმნა მშრომელი ხალხისთვის. ამას დიდი ხანია ხედავდა რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია და ამ უკანასკნელ ხანებში, როცა დაინახა, რომ ეს მტრები ათასნაირ ხრიკებს აწყობდენ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ, ვეღარ მოითმინა და მისი ავანგარდი პეტროგრადის პროლეტარიატი ეკვეთა მტერს და 24—25-ს ოქტომბრის დღეებში კიდეც დაამარცხა ის.

დღეს ჩვენ ვხედავთ პეტროგრადის პროლეტარიატისა, რუსეთის გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ქვეყნის სა… ში მოქცევას.

ეს არის ახალი მთავრობა მუ… ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები… არის ნამდვილი დემოკრატიული … რობა, რომელსაც ეწინააღმდეგებ… ჩვენი ბურჟუაზიული, „სოციალის… პარტიები და რომელსაც დღეს … გაურბიან.

ჩვენ ამ ახალი მთავრობის საბ… ბის სიმტკიცეს მაინც ვხედავთ … დავათ იმისა, რომ ის დიდი ხა… არის, რაც მოგვევლინა. მიეცი… საშვალება და ვნახავთ რვა თვის … მაღლობაში გაამართლებს მშრო… ხალხის სურვილებს თუ არა. მაგრ… უნდა ქნას მან, როცა მას არც კ… კიდა ხელი ქვეყნის სათავესთვის, ძველი წესწყობილების თაყვანის… ლებით ერთათ დაირაზმენ მის წინ… დეგ და მთელი აურ-ზაური ასტეხ…

ისინი „თმის წეწვით“ ახალ … რებას აცნობენ ქვეყანას: დაიღუპა … ყანა, პროლეტარიატმა გაიმარჯვ… სხვა.

რაშია საქმე, რომ დააფრთხო ხალხის მტრები და მისი ამყოლ-და… ლი?… ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს დე… კრატიის მტრების კივილ-ჩხივილი. … რალა მტრები იქნებიან რომ ხალ… გამარჯვებას მტრულათ არ შეხ… მხოლოთ სავალალო და გულსაკლ… როცა თვით დემოკრატიის შორის ჩნ… ბიან შინაური მტრები.

ამ სტრიქონების დამწერი არ ი… ლებს სრულიათ სოც-დემოკრატ… ზოგიერთ შეხედულებებს, რომლის … განოს ფურცელზე ეს წერილი იბეჭ… ის უფრო მეუმცირესეთ უნდა იცა… მაგრამ დღეს, როცა ხედავს, რომ ს… ტყუილა უბრალოთ ტალახში სვრ… ბალშევიკებს პეტროგრადის პროლე… რიატის გამოსვლის შესახებ, არ შ… ლია არ ამხილოს თავისი მეგობარ … ნაგების შეცდომები.

მართლაც რა მოხდა ისეთი, რ… ბოლშევიკებს ყველ მხრიდან ეხვევ… მტრებთან ერთათ მისი მოყვრებიც … მისი ჩაქოლვა სწადიათ?..

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

რევოლიუციის რვა თვის განმავლობა… იმედ-გაცრუებულმა პეტროგრადის პრ… ლეტარიატმა ვეღარ მოითმინა მტ… შიმშილ-წყურვილი და ათასი გაჭირ… და თვითონ იკისრა თავისი თავის პა… რონობა, არ შეუშინდა მტრის ცეცხ… და მახვილს და რომ ქვეყანა გადაარ… ნა ბურჟუაზიის ხიფათისაგან, თვით… აიღო ხელთ ქვეყნის მართველობა. … დაღუპვა არის ბურჟუაზიის და მტო… ღრიალებს ის დაჭრილ დათვივით, მა… რამ რა ატირებთ მენშევიკების და ეს… რების პარტიებს? რათ არ შეუერთ… პროლეტარიატს ბრძოლის დროს … დღესაც რათ გამდგარან განზე. გ… ბალშევიკებმა მათ ხელი ჰკრეს? სრუ… ლიადაც არა.

წარმოვიდგინოთ, თუ გნებავთ, რომ პეტროგრადის პროლეტარიატის ასე… ნაბიჯი დიდი უტაქტობაა, წარმოვიდგ… ნოთ, რომ მისი მოქმედება შეცდომ… არის და როგორც ესერები და მენშევიკები ამტკიცებენ, მათი მართველობა გაჰქრება როგორც გაზაფხულის თოვლი,

...ასეთ შემთხვევაშიც რევოლიუციო... დემოკრატიის ერთ ნაწილს უნდა ...ეებია მეორე ნაწილი ბრძოლის ...ზე, განზე გამდგარიყო და ეცქირა, როგორ თავგანწირულათ იბრძოდა ...ს დემოკრატიის მეორე ნაწილი? მენშევიკების და ესერების ერთი ...ილის აზრია, რომ პეტროგრადის ...ლეტარიატის დამარცხება იქნება რევოლუციის და რევოლიუციონურ დემოკრატიის, განა რაიმე აზრი აქვს განზე ...გომას და ბრძოლის ველზე მარტო ...ტოვებას მებრძოლ მოძმეთა? რასაკ...ველია არა ვისაც შემთხვევა ქონდა ოქტომბერს დასწრებოდა თფილისის ...მათა და ჯარისკაცთა საბჭოს კრებას, გაიგონებდა მოხუც ცერცვაძის სიტყ...ვას: მეც რომ ვყოფილიყავი პეტროგ...რადში 24-25 ოქტომბრის დღეებში, მეც ...ერთდებოდი აჯანყებულებს და მათთან ...თად ვიბრძოლებდიო. ვინც წაიკითხა ...ღირაშვილის სიტყვა მთელი რუსეთის ...ორე საბჭოთა სიეზდზე არა მგონია რომ ... ის ნამდვილი რევოლიუციონერი ...ის, დაგმოს პეტროგრადის პროლეტარიატის გამოსვლა და მასთან საერთოთ ...ერს ებრძოლაო. ამხ. საღირაშვილმა ...თქვა, როცა კითხვას სწყვეტენ მა... ან რევოლიუციონერებისათვის სხვა ...ზა არ არის, გარდა იმისა, რომ ხალხს ...ვერდში ამოუდგეს.

მე მუშა ვარ და არ შემიძლია ვიყო ...ბრალო მაყურებელი იმ დროს, როცა ...მუშები და სალდათები ებრძვიან ჩვენს ...ერთო მტერს.

ჩემმა ამხანაგებმა მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა სიეზდიდან წავიდენ. იქნება ...კან დაბრუნდენ, მაგრამ ესეც რომ არ ...ხდეს, მე დავრჩები აქ იმათთან ვინც ებრძვიან რევოლიუციას და ხალხის მტრებს. ჩემის აზრითაც მხოლოთ ორი გზა ...რის ნამდვილ რევოლიუციონერის წინაშე დღეს: პირველი ან უნდა უარყოს თავის რევოლიუციონერობა და კონტრრევოლიუციონურ ბანაკს შეუერთდეს, და ...ბრძოლოს სანამ მტერს არ დაამარცხებს ...ნ თვითონ არ დამარცხდება. სხვა გზა ...ღეს ჩემის აზრით რევოლიუციონერისათვის არ არის, დღეს არ არის დრო პარტიული ან ფრაქციული კინკლაობისა, დღეს არ არის დრო სიტყვებისა. დღეს ბრძოლა არის, ბრძოლა მტერთან ხელ ჩართული, ბრძოლა ცეცხლით და მახვილით. შუაში გაჩერება ან განზე გადგომა მიუტევებელი დანაშაულობა არის ყოველ ნამდვილ სოციალისტისა და რევოლიუციონერებისათვის.

მაშ ნუ აყოვნებთ, გონს მოდით და მოიქეცით ისე, როგორც შეფერის ჭეშმარიტ მებრძოლს ბრძოლის დროს.

**ხანდრო.**

---

## მომავალი კატასტროფა და მასთან ბრძოლა.

**ნ. ლ ე ნ ი ნ ი.**

გაგრძელება იხ. № 38.

---

### ძალდატანებითი გაერთიანება კავშირებში.

ძალდატანებითი სინდიკატის შექმნა ე. ი. მრეწველების გაერთიანება ერთ კავშირში უკვე განხორციელებულია გერმანიაში და ეს ახალს არაფერს წარმოადგენს, ამ მხრივთაც მენშევიკების და ესერების მეოხებით მთავრობას ...ხელიც არ გაუნძრევია რესპუბლიკანურ ...სეთში. ეს ადვილი გასაგებიც არის, ...ნაიდან ესერები და მენშევიკები კადეტებთან, ბუბლიკოვებთან, ტერეშჩენკოვებთან და კერენსკისთან ერთათ დავლურს უვლიან ხელი ხელ გადახვეულები.

ძალდატანებითი სინდიკატების დაარსებით სახელმწიფო ერთის მხრივ ახვითარებს კაპიტალიზმს, რომელიც ყველგან ერთნაირათ აწყობს კლასიურ ბრძოლას და ამრავლებს სხვადასხვა გვარ კავშირებს, მეორეს მხრივ ჰქმნის წინასწარ საჭირო პირობებს, როგორც სერიოზულ კონტროლისთვის, ისე ხალხის შრომის დასაზოგათ.

მაგალითად, გერმანიის კანონი ვალდებულად ხდის მთელი რაიონის ანუ მთელი სახელმწიფოს ტყავის მექარხნეებს გაერთიანდნენ ერთ კავშირში, ამასთან სახელმწიფოს წარმომადგენელი, როგორც კონტროლი■შედის კავშირის გამგეობაში ასეთი კანონი არაფრით არა სცვლის მესაკუთრეთა შორის ურთიერთობას, ვინაიდან არც ერთ მესაკუთრეს არც ერთ გროშს არ ართმევს და არცა სწყვეტს წინასწარ, თუ რა ხასიათს მიიღებს კანტროლი, რეაქციონულ ბიუროკრატიულს, თუ რევოლიუციონურ დემოკრატიულს.

ამისთანა კანონები ჩვენში დაუყოვნებლივ უნდა იყოს შემოღებული, ხოლო რაც შეეხება კანონის კონკრეტიულ ფორმებს, როგორც მაგალითად—განხორციელების სიჩქარეს, მეთვალყურობის საშუალებებს და სხ. და სხვებს, ეს უნდა თვით საზოგადოებას გადაეცეს გამოსაკვლევათ. სახელმწიფოსთვის სრულებით საჭირო არ არის რაიმე აპარატი, ან რაიმე გამოკვლევა, მხოლოდ ერთია საჭირო: გაბედოს და გაწყვიტოს კავშირი კაპიტალისტების კერძო ინტერესებთან, იმ კაპიტალისტებთან, რომელნიც მიჩვეულნი არ არიან, რომ ვინმე ჩაერიოს იმათ საქმეში და ხელი შეუშალოს არაჩვეულებრივ მოგებების მიღებაში.

არაფერი აპარატი და არავითარი სტატისტიკა (რომლითაც ჩერნოვს უნდოდა შეეცვალა გლეხობის რევოლიუციონური ინიციატივა) არ არის საჭირო ამ გვარ კანონის გამოსაცემათ, რადგან მისი განხორციელება სავალდებულო იქნებოდა თვით ფაბრიკანტებისთვის და მრეწველობისთვის, ანუ დაეყრდნობოდა საზოგადოების ძალებზე და არა მთავრობის ბიუროკრატიულ ღონისძიებაზე და გაივლიდა იმავე საზოგადოების კანტროლის ქვეშ, რომელიც შესდგებოდა ეგრეთ წოდებულ „დაბალ წოდებიდან“ ე. ი. დაბეჩავებულ და გაყვლეფილ კლასებისგან, რომელნიც ისტორიაში მუდამ მაღლა იდგნენ მყვლეფელებზე და გაბატონებულებზე თავიანთის ვაჟკაცობით, თავისგანწირვით და ამხანაგურის დისციპლინით.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მართლა გვყავს რევოლიუციონურ დემოკრატიული მთავრობა, რომელმაც დაადგინა: ყველა ფაბრიკანტები და მრეწველები, როგორც წარმომადგენელნი წარმოების სხვადასხვა დარგისა, სადაც მუშაობს ვთქვათ არა ნაკლებ ორი მუშისა, მოვალენი არიან გაერთიანდნენ სამაზრო და საგუბერნიო კავშირებში. კანონის სრული შესრულება ვალად ედება პირველყოვლისა ფაბრიკებს, დირექტორებს, გამგეობის წევრებს და მსხვილ აქციონერებს (ვინაიდან ესენი არიან დღეს წარმოების მესვეურები და ბატონ-პატრონები), კანონის შეუსრულებლობისთვის ესენი ჩაითვლებიან დეზერტირებათ და დაისჯებიან ერთი მეორის პასუხისმგებლობით მთელი ქონების ჩამორთმევით. ამათ შემდეგ პასუხის მგებლად ჩაითვლებიან ერთის მხრივ მოსამსახურენი, რომელნიც როგორც პირველნი, შეადგენენ კავშირს, და მეორეს მხრივ მთელი მუშები თავიანთის პროფესიონალური კავშირით. კავშირების გაერთიანების მიზანს შეადგენს —დაწესდეს სრული, სასტიკი და დაწვრილებითი ანგარიშის აღნუსხვა, უმთავრესათ კი ნედლი მასალის ყიდვა, დამუშავებულის გაყიდვა და დაზოგვა სახალხო იარაღისა და ძალ-ღონისა. ამგვარი გაერთიანება აქა იქ წვრილათ გაფანტულ საქმეთა ერთ სინდიკატში—ერთ დიად საქმეთ იქცევა და მას, როგორც გვასწავლის ეკონომიური მეცნიერება და სინდიკატების მაგალითი, შედეგად მოჰყვება იარაღის და ძალღონის დაზოგვა. აქ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ სინდიკატის წყალობით „გაერთიანება“ იოტისოდენად არა სცვლის საკუთრების უფლებას და არც ერთ მესაკუთრეს არც ერთ გროშს არ ართმევს, ამას ხაზს ვუსვამთ, ვინაიდგან ბურჟუაზიული მწერლობა აშინებს წვრილ და საშუალო მეურნეებს, რომ ვითომ სოციალისტები, და განსაკუთრებით ბალშევიკები, ლამობენ ექსპროპრიაციის მოხდენას. რა თქმა უნდა, ეს მტკნარი სიცრუეა, რადგან სოციალისტები, მაშინაც კი, როცა მოხდება სრული სოციალისტური გადატრიალება არ ეცდებიან, და რომ ეცადონ კიდეც, ვერც შესძლებენ, წვრილ მესაკუთრე გლეხების საკუთრების ჩამორთმევას. ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობთ მხოლოდ იმ უახლოეს და არსებით ღონისძიებებზედ, რომელნიც უკვე განხორციელებულნი არიან დასავლეთ ევროპაში დარომელნიც აგრეთვე უნდა იყვნენ განხორციელებულნი ჩვენშიაც, როგორც დემოკრატიულ ქვეყანაში, მომავალ და აუცილებელ კატასტროფასთან საბრძოლველად.

წვრილ მეურნეობის ერთ კავშირში გაერთიანება შეუძლებელი ხდება კულტურულის და ტეხნიკურის მხრით, რასაც შეადგენს დაქუცმაცება, სხვა და სხვაობა საქმეთა დაწყობისა და ტეხნიკური ჩამორჩენილობა ერთის მხრივ და მეურნეების წერაკითხვის უცოდინარობა და გაუნათლებლობა მეორის მხრივ. ამიტომაც ეს წარმოებანი გამოკლებულნი უნდა იყვნენ კანონიდგან.

ეს გამონაკლი კანონს არავითარ ზიანს არ მოუტანს, რადგან წვრილ მეურნეობას ძალიან ცოტა და უმნიშვნელო როლი აქვს წარმოების საერთო ჯამში და ამასთან თვით დამოკიდებულია მსხვილი წარმოებიდან.

გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ მსხვილ წარმოებებსა აქვთ, სადაც ტეხნიკური და კულტურული საშუალება და ძალები სრულათ არიან წარმომადგენელნი „გასაერთიანებლათ,“ აკლია მხოლოთ დაუნდობელი, მტკიცე და ფოლადივით მაგარი და შეურყეველი რევოლიუციონური ძალა უფლება, მიმართული ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

რამდენათაც ქვეყანა ღარიბია ტეხნიკურათ განათლებულ პირებით და საზოგადოთ ინტელიგენტური ძალებით, იმდენათ არსებითი ხდება, რაც შეიძლება მალე და გაბედულათ გამოსცეს დეკრეტი ძალდატანებითი გაერთიანების შესახებ, რომელიც უნდა დაიწყოს მსხვილ საწარმოო საქმეებიდან. „გაერთიანებას“ აუცილებლათ მოჰყვება ინტელიგენტულ ძალების დაზოგვა, მათი სავსებით გამოყენება და მიზან შეწონილი განაწილება. თუ რუსის გლეხობამაც კი მიყრუებულ კუთხეებში, მეფის მთავრობის დროს, მიუხედავათ ათასგვარი დაბრკოლებისა, 1915 წლის შემდეგ შესძლო შეექმნა ათასგვარა კავშირები, მით უმეტეს უფრო ადვილათ რამდენსამე თვეში უნდა მოხდაროყო „გაერთიანება“ მსხვილ და საშუალო მრეწველობისა და ვაჭრობისა. და უფრო სწრაფათაც, რომ ამისთვის ძალა დაეტანებინა რევოლიუციონურ—დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც დაყრდნობილი იქნებოდა „კავირებზედ“ ე. ი. დემოკრატებზედ, მოსამსახურეებზედ და მუშებზედ.

**„მოხმარის ს მოწესრიგება.“**

ომმა იძულებული გახადა მეომარი ქვეყნები და ბევრი წილი ნეიტრალ სახელმწიფოებთაგანი მოხმარების მოწესრიგებაზე გადასულიყვნენ.

გაჩნდა პურის ბარათი, ხალხი მიეჩვია მას, პურის ბარათს მიჰყვა სხვა ბარათებიც, რუსეთიც არ ჩამორჩა დანარჩენ ქვეყნებს და იმანაც შემოიღო პურის ბარათები,"

ეს მაგალითი ჩვენ გვაძლევს ნებას შევადაროთ რეაქციონურ-ბიუროკრატიული მეთოდი კატასტროფასთან საბრძოლველათ რევოლიუციონურ-დემოკრატიულ მეთოდს. პირველს სახეში აქვს შეიტანოს ეკონომიურ ცხოვრებაში მხოლოდ ცოტაოდენი ცვლილება, მეორე კი ცდილობს ერთის დაკვრით მოუღოს ბოლო ძველ დახავსებულ წესს, რათა ჩქარის ნაბიჯით წაიწიოს წინ ცხოვრების ძველლობამ.

პურის ბარათი, ეს უმთავრესი ნიმუში მოხმარების მოწესრიგებისა თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ერთ კითხვასა სწყვეტს; განაწილდეს არსებული პური ისე, რომ ყველას ეყოს. იკანონდება „მოხმარების“ მაქსიმუმი „ხალხისთვის“ საჭირო უმთავრეს საგნებზედ. ამით თავდება ყველაფერი დანარჩენზედ არაფერს ფიქრობენ. ბიუროკრატიულათ ანგარიშობენ, თუ რამდენი პურია ბეღელში, ჰყოფენ მას მცხოვრებთა სულზედ, აწესებენ საწყაოს და მით თავდება საქმე. საფუფუნე საგნებს ხელს არ ახლებენ, ვინაიდგან ღარიბი ხელი იმათ ვერ მისწვდება. მერე რასა ვხედავთ, ყველა ქვეყნებში და მათ შორის გერმანიიშიც კი, სადაც მოხმარება შესანიშნავის შეურყეველის წესით არის თავის ღონეზედ დაყენებული? ჩვენ ვხედავთ იქაც გერმანიაში, რა მშვენივრათ ახერხებენ მდიდრები აუქციონ მხარი მოხმარების ნორმას. ესეც ყველამ იცის, ამაზედაც ყველა ლაპარაკობს დაცინვის კილოთი, ლაპარაკობენ გერმანიაშიც არამც თუ სოციალისტურ მწერლობაში, ბურჟუაზიულშიც, მიუხედავათ სასტიკი ნემეცურ ცენზურისა; ყველგან შეხვდებით შენიშვნებს და ცნობებს მდიდრების „მენიუზედ“, ან იმაზედ რომ კურორტში მდიდრები ღებულობენ თეთრ პურს, რამდენიც უნდათ, როგორც ვითომდა ავათმყოფები, ან იმაზედ, თუ მდიდრებმა როგორ შესცვალეს უბრალო „ხალხური“ საგნები ძვირფას საფუფუნო საგნებზედ.

რეაქციონური მთავრობა, რომელსაც ეშინიან არ შეირყეს კაპიტალიზმის საძირკველი, ეს საფუძველი ეკონომიურის მონობისა, შიშობს არ განავითაროს მუშებისთვითმოქმედება დასაზოგადოთ მშრომელთა ხალხისა და ამიტომაც არის, რომ ის კმაყოფილდება პურის ბარათებით ამისთანა სახემწიფოებს ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ რეაქციონური მიზანი. გამაგრდეს კაპიტალიზმი, ეკონომიური ცხოვრების დონეზედ დაყენება შემოიფარგლოს მხოლოდ იმისთინა ღონისძიებით, რომელიც აუცილებლად საჭიროა ხალხის გამოკვებაში, რაც კი შეეხება „მოხმარებას“ საზოგადოთ და მის ნამდვილ მოწესრიგებას, რომელიც გამოიხატება მდიდრების კონტროლში-ამაზედ კრინტსაც არავინა სძრავს.

რეაქციონურ—ბიუროკრატიულათ გადაწყვეტილი კითხვა, რომელიც ომის გამო დასვა ხალხმა, შემოიფარგლა მხოლოდ „პურის ბარათებით." ბარათებმა ყველა ნაჩვრეტები ვერ ამოამსეს, დარჩნენ კიდევ ბევრნი, რითაც კარგათ სარგებლობენ მდიდრები, მიბძანდებიან კუ ორტებში და იქ იღებენ ყველაფერს, რაც კი გინდა სულო და გულო, უკონტროლოთ და უდავიდარაბოთ.

რუსეთში, სადაც რევოლიუციამ იქუხა მეფის წინააღმდეგ ხალხის თავისუფლების და ერთობის დროშის ქვეშ, სადაც დამყარდა დემოკრატიული რესპუბლიკა თავის ფაქტიურის პოლიტიკურის დაწესებულებებით, დიდ უკმაყოფილებას იწვევს მდიდრებისგან პურის ბარათების მასხარად აგდება, რასაც ყველა კარგათ ხედავს. ვინ არ იცის, რომ მდიდრები ფულის შეწყობით და ნათლიმამობით ყველა საგნებს იმდენს შოულობენ, რამდენიც უნდათ, ხალხი კი შიმშილს განიცდის.

აუდიებში დგომით ილაჯი გამოელია ყველას. მდიდრებს რა ენაღვლებათ? მათ მაგიერათ მათი მოსამსახურენი დგანან კუდებში, ხშირად ამისთვის ცალკე მოსამსახურეებსაც კი ქირაობენ. ესეც შენი დემოკრატიზმი!

რევოლიუციონურ-დემოკრატიული პოლიტიკა მოითხოვდა, რომ უაღრეს უბედურობის დროს კატასტროფასთან საბრძოლველათ მარტო პურის ბარათებით არ შემოეფარგლა მას თავისი მოქმედება, არამედ მიემატებინა იმისთვის ჯერ ერთი ძალდატანებითი გაერთიანება მთელი ხალხისა მომხმარებელ საზოგადოებაში, ვინაიდგან უიმისოთ მოხმარებას ძნელათ გაუკეთებ კონტროლსა; მეორე, შემოეღო შრომის ბეგარა მდიდრებისათვის, რომ მათ უსასყიდლოთ ემსახურნათ მომხმარებელ საზოგადოებაში; მესამე—მოხმარების საგნები უნდა ერთნაირათ განაწილებულიყო ხალხში, რათა ომისგან გამოწვეული სიმძიმე ერთნაირათ ეგრძნო ყველას; მეოთხე—კანტროლი უნდა მოწყობილიყო ისე, რომ ღარიბებს გაეკეთებინათ კონტროლი მდიდრებისათვის.

აი ეს აამოქმედებდა ინტელიგენტურ ნიჭს და განავითარებდა რევოლიუციონურ ენერგიას ხალხში. ამის მაგივრათ ჩვენ ვხედავთ, რომ რესპუბლიკანური და რევოლიუციონური დემოკრატიული რუსეთის მინისტრები, ისე როგორც მათი მოძმენი დანარჩენ იმპერიალისტურ ქვეყნებში, მარტო ლამაზ ფრაზებს ამბობენ „ხალხისთვის სასარგებლო საერთო შრომაზედ", „ყველა ძალების დაძაბვა ზედ" და სხ. ხალხს კი არ სჯერა ამ სიტყვების, და გრძნობს მათში მხოლოდ ცბიერობას და სიყალბეს.

საქმე შეჩერებულია ერთ ადგილზედ. არევდარევა ძლიერდება და კატასტროფა ახლოვდება; იმპერიალისტურის წესით სამხარი კატორღის შემოღება მუშებისთვის რუსეთში ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდგან რევოლიუციისაგან დატოვებული შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული. ჩვენ მთავრობას არა სურს და არც შეუძლიან გააკეთოს რამე რევოლიუციონურ დემოკრატიულის წესით, რადგან იგი თავით ფეხებამდინათ გაება ბურჟუებისგან დაგებულ ბადეში „კოალიციის" სახით და რა გასაკვირველია, თუ ეშინიან მას შეეხოს ბურჟუების ფაქტიურ პრივილეგიებს.

(გაგრძელება იქნება)

# მუშათა წერილები

1905 წ. საყოველთაოთ იქნა ცნობილი, რომ თუ ჯარი არ შეუერთდა მუშას, მარტო მუშა ვერაფერს გახდებაო. დაჰკრა სასურველმა საათმა, აღსრულდა ის, რასაც ჩვენ ვოცნებობდით და 27 თებერვალს 1917 წ. ჯარი შეუერთდა მუშას და ერთის დაკვრით დაამხო ას წლობით ღრმათ ფესვებ გადგმული რომანოვის ბატონობა. ამ ჯარს დღეს მენშევიკები ნ თლავენ მოღალატის სახელით და უწოდებენ მის მოქმედებას „სამხედრო შეთქმულობას" და ბოლშევიკების „ავანტიურას", მაგრამ ენას ძვალი არ აქვს, რაც ნებავთ, ის ილაპარაკონ. თვით იმ ჯარმა და პროლეტარიატმა, რომლებმაც დაამხეს რომანოვის დინასტია, დაამხეს კერენსკის მთავრობაც. მენშევიკებს ეს ქვეყნის დამღუპველათ მიაჩნიათ. ამ 8 თვის წინათ რუსეთის რევოლიუციას სათავეში ჩაუდგნენ მათი ბელადები და მთელი რუსეთის მშრომელი ხალხის თვალები მათკენ იყო მიპყრობილი. მათგან ელოდა შველას, თავისუფლების გამაგრებას, მიწას, ზავს და ბევრ ასეთებს. ახლა უფლება გვაქვს ვკითხოთ მათ: რა მიეცით ხალხს ამ რვა თვის განმავლობაში?

თქვენ მოიწადინეთ მგლისა და ბატკნის დაძმობილება—შეთანხმება. დაბოლოს მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ძალა-უფლება ჩააბარეთ მათ, ვინც ფაქტიურათ ყვლეფავდა მშრომელ ხალხს, ტყავს აძრობდა გლეხობას. ომის საკითხში თქვენ არამც თუ დააჩქარეთ მისი ბოლოს მოღება და მიიღეთ რადიკალური ზომები, არამედ ათასჯერ უმეტესათ გაამწვავეთ იგი და ძხარი დაუჭირეთ პროლეტარიატის უმანკო სისხლის ღვრის პოლიტიკას. სასურსათო საკითხში თქვენ გამოიჩინეთ ლაჩრობა. თქვენ არამც თუ შექმენით იმისთანა პირობები და მიიღეთ იმისთანა ზომები, რომ მაღა შეგეკრათ ჩ რჩ სპეკულიანტებისთვის, ძალით აღმოგეჩინათ დამალული სანოვაგე-საქონელი და გაგეიაფებინათ ცხოვრების საგნები, არამედ მიეცით თქვენი დათმობის გზით საშუალება აეწიათ ფასები ყოველ საგნებზე საზღაპრო ზომამდე.

პირდებოდით ხალხს მიწების გადაცემას მშრომელი ხალხის ხელში, ზავზე დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას, სასურსათო საქმის სასურველ დონეზე დაყენებას და სხვა კიდევ ბევრს რამეებს, მხოლოდ მოითხოვდით მოთმენას. როდემდის? ალაპაპა უწყის.

თქვენ ლაყბობდით, თვალთმაქცობდით ეთამაშებოდით ხალხს, როგორც კატა თაგვს? ამის მერე თქვენ კიდევ გაუწითლებლათ გაიძახით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" მაშინ, როდესაც ფაქტიურათ თქვენ იმის მტრები ხართ! თუ არა თქვენ, მაშ ვინ არის წინააღმდეგი პროლეტარიატის დიქტატურისა? თუ არა თქვენ, მაშ ვინ არის მომხრე ყველაფერი საქმის გაჭიანურებისა? თუ არა თქვენ, მაშ ვინ იყვნენ წინააღმდეგი მიწების გლეხების ხელში გადაცემისა, კანტროლის დაწესებისა. საჭიროა რადიკალური ზომები, და სწორეთ ამ ზომების გამონახვას თქვენ არამც თუ სცდილობთ, არამედ ხელს უშლით მათ, ვინც კი პოულობს. თქვენ იძახით „თუმცა ბოლშევიკების გამოსვლა ნაადრევია, მაგრამ მათი მოთხოვნილება სამართლიანიაო". ამავე დროს თქვენვე ამბობთ „თუ არა საყოველთაო ომი, რუსეთი კიდევ დიდხანს იქნებოდა ნიკოლოზის ბატონობის ქვეშო". თუ მართლა ეს ასეა, თუ მართლა რუსეთის რევოლიუცია მოხდა უმთავრესათ იმ მიზეზით, რომ გამოწვევდა საშინელი ომი, რატომ არ უნდა ვიქონიოთ ჩვენ მხედველობაში ის, რომ დღეს მთელი ქვეყანა გახვეულია ცეცხლის ალში, ყველა გმინავს თავიანთ მყვლეფელების ფეხქვეშ. ყველას სწადია ხსნა მათი ბრჭყალებიდან და რასაკვირველია ყველას ეტყობა სულის ამოხდომა. შეჩერება მხოლოთ იმაშია, რომ დაიწყოს ვინმემ საქმე. ეს საქმეც დაიწყო რუსეთის პროლეტარიატმა და თუმცა უწვრთნელმა და ყოველივე კულტურას და ცივილიზაციას მოკლებულმა, მაგრამ ჭკუით და აზროვნებით ფხიზელმა ჯარმა. მათ მისცეს გაკვეთილი მთელი ევროპის მუშა გლეხკაცობას. გაპატრონებული კლასები დღეს შეწუხებული კიდია. სამარცხვინოც იქნება, რომ ევროპის კულტურულმა ჯარმა და მუშამ არ გაუწიოს სოლიდარობა თავიანთ მოძმეებს. არ უნდა დავკარგოთ იმედები ჩვენ ჩვენ ძმებზე. უნდა ველოდეთ მას, რაც აუცილებლათ მოსალოდნელია. და თუ ჩვენ არ ვიმედოვნებთ ევროპის პროლეტარებზე, მაშინ ჩვენი თავისუფლებაც გაისრისება ბურჟუა იმპერიალისტების ფეხქვეშ. პროლეტარიატის დიქტატორობა უდროვო არისო,—თქვენ ამბობთ, და ამიტომ სასურველათ არა სცნობთ მათთან მუშაობას. რატომ, „სოციალისტებო"? ნუ თუ ბურჟუა ბიუროკრატებთან შეგეძლოთ თქვენ მუშაობა და თქვენ კლასთან კი არა. აი სად არის, რომ თქვენ შორდებით პროლეტარიატს და ემხრობით მათ მყვლეფელ-მძარცველებს. რატომ გეშინიათ თქვენ კადეტების? რომელ ძალას აწარმოვებენ ისინი? რით უნდა გაიმარჯვონ მათ? ისევ ჩვენი ბოგანოს გაუნვითარებლობით, ისევ ბოგანოს შეუგნებლობით, ისევ ბნელი ძალებით. თქვენც მათ ხელს უწყობთ, როგორც მათი მოძმე. გადადით რაღა მათ ბანაკში, შეუერთდით მათ და აიხადეთ ნიღაბი. თქვენ გგონიათ, რომ პროლეტარიატს და გლეხკაცობას, რადგანაც ისინი ისე არ არიან ნასწავლები და განვითარებულები, როგორც თქვენ და თქვენი კადეტები და არ შეუძლიათ იმდენი მახინჯი ცბიერი თვალთმაქცობა, იმიტომ არ შეუძლიათ მათ აწარმოვონ თავიანთი საქმე? რატომ არ უნდა განაგებდნენ ისინი თავიანთ საქმე? რისთვის უნდა იყოს იმათი ბედ-იღბალი მათივე ჯალათების და მყვლეფელების ხელში? არა წყაწყალებო, მათ კარგად შეუძლიათ თავიანთი საქმის წარმოება. ნუ იქნებით მათთვის ვ თომდა გულშემატკივარნი და ნუ ეცდებით ძალა-უფლების ხელიდან გამოგლეჯას. რადგანაც მათ სისხლით მოიპოვეს თავისუფლება და ძალა, იცოდეთ უსისხლოთ ველარ წაართმევთ მათ უკან, ბურჟუაზიასთან შეთანხმებას კიდევ სცდილობთ და გგონიათ, რომ ის ბურჟუაზია ხელში ჩააგდებს თავის ბედ-იღბალს, გამოგყვება ცოცხალი ფაქტით და თავენთა იმუშავებს? რატომ ცბიერობთ, რატომ ტკეპნით ერთ ალაგს, რატომ ნაყავთ წყალს, თუმცაღა კარგათ იცით, რომ იგივე წყალი დარჩება? ტყუილათ ირჯებით. იძახაც იტყვით. რომ კერენსკი ნამდვილი მოქალაქეა და სოციალისტი. აი შეგრცხვებათ! აბა მიეშველეთ მას, ის ეხლა კალედინთან მიეშურება, იმ კალედინთან, რომელმაც დარაზმა ყაზახები პროლეტერიატის გასანადგურებლათ. თქვენ გულმოდგინეთ ელით ბოლშევიკების დამარცხებას. მერე გიხარიათ რომ ისინი დამარცხდეს? ვაი თუ მათმა დამარცხებამ თქვენც გადაგიტანოთ? მე ასე მგონი. მარტო ზურგის ფხანით მუნი არ მორჩება. მარტო ენით საქმე არ გაკეთდება. ირ თქვენი მეოხებით ძველი რეჟიმის ჩინოვნიკ სიშჩი… აგვგვიათ ნიკოლოზის დროს მინი… ლი პოსტებიდან.

დიახ ხალხი დარჩა მოტყუებული… გან, ისინი ელოდებოდენ პურს, მიწას, თავისუფლებას. თქვენ ვერ… მართლეთ მათი იმედები და ამ… არის, რომ ხალხმა რწმენა და… თქვენზე. მიზეზი მეორე რევოლ… და ძალა-უფლება ჭეშმარიტ… დამცველების ხელში გადასვლ… არის, რომ თქვენ და თქვენმა დამყოლებმა მიიყვანეთ ქვეყანა დ… ვამდე. ბოლშევიკებს არ ავითარი… უფლება არ ჩიუგდიათ ხელში, … უფლება ისევ იმ საპჭოებმა … ხელში, ვინც რომ უდგნენ სათ… რუსეთის რევოლიუციას. მათში მ… ყოველი დარგის მუშა, გლეხი, … იძახით, ქვეყანა განსაცდელ მიიყ… ით, ქვეყანა კი არა, ბურჟუა მუქთა… რები არიან განსაცდელში. და … თქვენც ამისთანეებათ გრძნობთ … თავს, უკეთესია ამოუდგეთ მათ მ… პროლეტარიატი არაფერს არ … თავის ბორკილების მეტს. ბრმას … შეეძლო შეეხედნა, ყრუსაც კი შ… მოესმინა ამ რვა თვის თქვენი ნ… მოები. ჩვენი ბელადები: ჩხეიძე, წ… თელი, სკობელევი და სხ. თვით … ლობის რეჟიმის დროსაც კი თავგა… ბით იბრძოდენ პროლეტარიატის … თილდღეობისთვისო. გვწამს ეს, მა… გვაკვირვებს ის, რომ ის თქვენი ბელა… დღეს ხვალ სხვა გზას დაადგენ და … ლატეს თავანთ პრინციპებს საგ… ის არის, რომ სათავეში მაგათ ნ… მედო ხალხი იდგენ და ისე უძ… წაიყვანეს მშრომელი ხალხის ქ… ნი მხოლოთ კარგები იყვნენ მ… არა ეხლა. კერენსკიც იძახდა „ძალ… მაგრამ შემდეგში კი შეტევა გამო… და. ნუ ტრაბახობთ ძველებით, … ეხლა არის. მაშინ კერენსკი სოც… ტი, ახლა მეორე ალიხანოვი, … გვაწვლის მომდინარე მოძღ… მარჯოს ინტერნაციონალს! გაუმ… ხალხის მთავრობას! გაუმარჯოს ს… ლიზმს!

რა-მ…

# რუსეთის ქრონიკა

მორიგების საკითხი.

მენშევიკები და მემარჯვენე ესერ… პეტროგრადში მორიგებაზე წავიდნ… ახალ მთავრობას ზოგი პირობებ… რულება მოთხოვეს. ამაზე როგ… ხალხის კომისართა საბჭომ, ისე … ტრულმა ცენტრმა (ბოლშევიკები ამ) … პეტროგრადის მუშათა და სალდათ… საბჭომ უარით უპასუხა. უარი თქ… იმიტომ, რომ მათი პირობები მოქმე… ბის „თავისუფლებას" ანსპობდა პრო… ლეტარიატის მოსისხლე მტერს, ბურჟუ… ზიას და მოღალატე კერენსკის მომხრე… რომელთაც სურთ საბჭოთა მთავრობ… ალაგას „ხალხის საბჭო" შეადგინონ, … დაც მათ უმრავლესობა ეყოლებათ … აქედან იმედი ექნებათ ხალხის რევო… ლიუციას ბოლო მოუღონ. ამიტომ პეტ… როგრადის საბჭომ და ცენტრალურ… კომიტეტმა დაადგინა: შეწყვიტონ ყოვე… გვარი მოლაპარაკება მენშევიკებთან და ესერებთან და ერთხელ კიდევ მოუწო… დონ მემარცხენე ესერებს, რომლებ… არ სარგებლობდენ აქამდე თავისი უფ… ლებით, გამოგზავნონ თავისი წარმომა… დგენლები მთავრობაში.